585/2
1991

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

1991
№ 3

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები

№ 3 (608) მარტი 1991 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

203. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მ. მ. ომანიძის ავტონომიური წარმონაქმნების, რესპუბლიკათშორის და ეროვნებათშორის ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრჩევლად დანიშვნის შესახებ.

204. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ო. ა. ნავროზაშვილის ონის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

205. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ზ. ვ. ხომასურიძის ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

206. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ტ. ა. ფუტკარაძის ქ. ბათუმის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

207. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება რ. ს. დოლიძის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

208. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ი. თ. ტურაშვილის ახმეტის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

209. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მ. ფ. სამუკაშვილის ახმეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა



210. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ბ. ა. კანკავას სენაკის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

211. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ტ. გ. დგებუაძის სენაკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

212. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მ. გ. გოგუაძის ლანჩხუთის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

213. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება თ. ა. გუგუნავას ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

214. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ბ. ი. ბიბინეიშვილის ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

215. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ი. ხ. კახიძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

216. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ს. ნ. ბერიძის ქედის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

217. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება თ. ყ. გოგიაშვილის ქედის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

218. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ბ. ი. გობაძის ხულოს რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

219. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ა. მ. თავართქილაძის ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

220. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ა. გ. თხილაიშვილის ქობულეთის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

221. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ა. ა. ბექანიძის ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

222. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ა. ხ. ჯიბლაძის შუახევის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

223. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება შ. ს. ფუტკარაძის შუახევის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

224. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების შესახებ

225. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნებში პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების დეპუტატობის კანდიდატთა სიების ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

226. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ.

227. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შესახებ.

228. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის დარგებში ახალი კოდექსების პროექტების შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ.

229. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების დანიშვნის შესახებ.

230. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სამართლებრივი თანამშრომლობის შესახებ.

231. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის რეფერენდუმის ჩატარებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიულ-საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნების შესახებ.

232. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ზ. ტ. ალავიძის ცაგერის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

233. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება დ. ი. სვანიძის ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

234. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გ. გ. წულაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

235. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ა. ა. კოსტავას ქ. ქუთაისის პრეფექტად დანიშვნის შესახებ.

236. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შენობის შესახებ.

237. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესახებ" კანონის 34-ე მუხლის შეცვლის თაობაზე.

238. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უფლებამოსილების შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები**

**(20 მარტი)**

239. „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



240. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ.

241. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

242. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა და მსაჯულთა ფიცის შესახებ.

243. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის დებულების დამტკიცების შესახებ.

244. დებულება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის შესახებ.

245. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

246. დებულება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ.

247. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.

248. დებულება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ.

249. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ.

250. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მსაჯულების მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ.

251. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კლასების დაწესების შესახებ.

252. დებულება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კლასების შესახებ.

253. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების — სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

254. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის გაუქმების შესახებ.

255. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



256. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ო. ვ. მელქაძის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

257. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ლ. ა. ღურწკაიას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

258. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ო. გ. ჩხეიძის საქართველოს რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

259. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გამოკლებულთა ნაცვლად ახალი წევრების არჩევის შესახებ.

260. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა ერთი ნაწილის უფლებამოსილების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## განყოფილება პირველი

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**203 მ. მ. ომანიძის ავტონომიური წარმონაქმნების, რესპუბლიკათშორის და ეროვნებათშორის ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრჩევლად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს მურმან მელიტონის ძე **ომანიძე** ავტონომიური წარმონაქმნების, რესპუბლიკათშორის და ეროვნებათშორის ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მრჩევლად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 1 მარტი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**204 ო. ა. ნავროზაშვილის ონის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ოქროპირ ავთანდილის ძე **ნავროზაშვილი** ონის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 205 ზ. ვ. ხომასურიძის ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ზოდიკო ვლადიმერის ძე **ხომასურიძე** ონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 206 ტ. ა. ფუტკარაძის ქ. ბათუმის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ტარიელ ალექსანდრეს ძე **ფუტკარაძე** ქალაქ ბათუმის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 207 რ. ხ. დოლიძის ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს როსტომ ხასანის ძე **დოლიძე** ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 208 ი. თ. ტურაშვილის ახმეტის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ივანე თედოს ძე **ტურაშვილი** ახმეტის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 209 მ. ფ. სამუკაშვილის ახმეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს მერაბ ფიდოს ძე **სამუკაშვილი** ახმეტის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 210 ბ. ა. კანკავას სენაკის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ბათუ ალექსანდრეს ძე **კანკავა** სენაკის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**211 ტ. გ. დგებუაძის სენაკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
გათავისუფლდეს ტარიელ გურის ძე **დგებუაძე** სენაკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**212 მ. გ. გოგუაძის ლანჩხუთის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს მერაბ გიორგის ძე **გოგუაძე** ლანჩხუთის რაიონის პრეფექტად.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**213** თ. ა. გუგუნავას ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს თეიმურაზ ალექსანდრეს ძე **გუგუნავა** ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**214** ბ. ი. ბიბინეიშვილის ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ბესარიონ ილიას ძე **ბიბინეიშვილი** ხელვაჩაურის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 215 ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ი. ხ. კახიძის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ხუსეინის ძე **კახიძე** დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 216 ს. ნ. ბერიძის ქედის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს სანდრო ნიაზის ძე **ბერიძე** ქედის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 217 თ. ყ. გოგიაშვილის ქედის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს თამაზ ყედირის ძე **გოგიაშვილი** ქედის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 218 ბ. ი. გობაძის ხულოს რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ბეჟან ისუფის ძე **გობაძე** ხულოს რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

**219** ა. მ. თავართქილაძის ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ანზორ მუჰამედის ძე **თავართქილაძე** ხულოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

**220** ა. გ. თხილაიშვილის ქობულეთის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ანზორ გივის ძე **თხილაიშვილი** ქობულეთის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 221 ა. ა. ბეჟანიძის ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ავთანდილ ალექსანდრეს ძე **ბეჟანიძე** ქობულეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 222 ა. ხ. ჯიბლაძის შუახევის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ალექსანდრე ხასანის ძე **ჯიბლაძე** შუახევის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 223 შ. ს. ფუტკარაძის შუახევის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს შოთა სულეიმანის ძე **ფუტკარაძე** შუახევის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 224 საქართველოს რესპუბლიკაში რეფერენდუმის მომზადებისა და ჩატარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წლის 31 მარტს დანიშნული რეფერენდუმის მომზადება და ჩატარება დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შერჩეულმა საოლქო სარეფერენდუმო კომისიებმა მუშაობა დაიწყონ ა. წ. 7 მარტიდან, ხოლო საუბნო სარეფერენდუმო კომისიებმა — არაუგვიანეს 12 მარტისა.

3. ამომრჩეველთა სიები საუბნო სარეფერენდუმო კომისიებმა საჯარო გაცნობისათვის გამოიტანონ არაუგვიანეს 21 მარტისა.

4. დაევალოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეფერენდუმის ხარჯთაღრიცხვის შედგენა, თანხების განაწილებისა და გამოყენების წესის დადგენა.

5. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად უზრუნველყოს საერთაშორისო მეთვალყურეთა მოწვევა და რეფერენდუმზე დასწრება.

6. საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს ეთხოვოს „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოაყალიბოს შემდეგი რედაქციით:

„ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისა და საოლქო სარეფერენდუმო კომისიების მოვალეობების შესრულება ეკისრებათ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისია-



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სა და უზენაესი საბჭოს არჩევნების საოლქო ან საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებს. საუბნო სარეფერენდუმო კომისიებს ქმნიან საოლქო სარეფერენდუმო კომისიები ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ დადგენილი წესით“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 5 მარტი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**225 საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნებში პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების დეპუტატობის კანდიდატთა სიების ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში წარდგენის ვადის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნებში პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების დეპუტატობის კანდიდატთა სიების ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში წარდგენის ვადა გაგრძელდეს 1991 წლის 12 მარტის 18 საათამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 8 მარტი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**226 ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საგანგებო წესების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილებით გამოცხადებული საგანგებო წესების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 1991 წლის 12 აპრილამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**227 სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შესახებ**

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად 1991 წლის 17 მარტს დაინიშნა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნები.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დაშვებული იყო „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევები.

მაგალითად, ქალაქ გაგრის ტერიტორიაზე შემოწმებული 44 საარჩევნო უბნიდან 37-ში საუბნო საარჩევნო კომისიების პერსონალურ შემადგენლობაზე არ არსებობს შესაბამისი დოკუმენტაცია, გუდაუთის რაიონისათვის გათვალისწინებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობაზე 14 ათასით მეტია გაცემული, მთელ რიგ რაიონებში სრულყოფილად არ არის შედგენილი საარჩევნო სიები და ა. შ. ეს ფაქტები მიუთითებენ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ ვერ შეასრულა საარჩევნო კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობები, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს არჩევნების შედეგების მართლზომიერებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 25 იანვრის დადგენილება „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შესახებ“.

2. დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე № 669 სოხუმის ტერიტორიულ-საარჩევნო ოლქში 1991 წლის 17 მარტს დანიშნული არჩევნების სხვა დროისათვის გადატანის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 16 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 228 საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის დარგებში ახალი კოდექსების პროექტების შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ

განიხილა რა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს წინადადება კანონმდებლობის დარგებში ახალი კოდექსების პროექტების შემუშავების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიჩნია, რომ რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სრულყოფა, დემოკრატიის შემდგომი განვითარება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება და სამეურნეო და კულტურული მშენებლობა მტკიცედ არის დაკავშირებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის სრულყოფასთან, მის სტაბილურობასთან. კანონმდებლობის დარგებში ახალი კოდექსების შემუშავება ხელს შეუწყობს კანონიერების, საზოგადოებრივი დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის დარგებში ახალი კოდექსების პროექტების შემმუშავებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

| | |
|---|---|
| ჯონი ხეცურიანი | — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი; |
| ტარიელ კუღულაშვილი | — კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი; |
| გიორგი მეფარიშვილი | — კომისიის მდივანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი; |

**კომისიის წევრები:**

| | |
|---|---|
| ლევან ალექსიძე | — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი; |
| ჯამბაკურ ბაქრაძე | — ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე; |

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ევტიხი ზენდელიანი — საქართველოს რესპუბლიკის მთავარი არბიტრი;

ოთარ გამყრელიძე — საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;

გივი კვანტალიანი — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

თენგიზ ლილუაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სამოქალაქო სამართლისა და პროცესის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

დურმიშხან ლორია — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე;

ვალერიან ლორია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საფუძვლებისა და სამართლებრივი აღზრდის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

დავით მელიქიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;

თედო ნინიძე — ჟურნალ „სახელმწიფოსა და სამართლის" მთავარი რედაქტორი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;

ვახტანგ რაზმაძე — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი;

ზურაბ რატიანი — საქართველოს რესპუბლიკის იურისტთა კავშირის თავმჯდომარე;

გიორგი ტყეშელიაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მინდია უგრეხელიძე — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალექსანდრე ფალიაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მიხეილ ქურდაძე — ქალაქ თბილისის პროკურორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თამაზ შავგულიძე — საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რომან შენგელია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი;

ალექსანდრე შუშანაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;

შალვა ჩიკვაშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი;

ირაკლი ჩიქოვანი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს იურიდიული განყოფილების გამგე;

ლადო ჭანტურია — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი;

დილარ ხაბულიანი — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი;

სერგო ჯორბენაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგე, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ახალი კოდექსების პროექტები მომზადდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე რესპუბლიკის კანონმდებლობის სრულყოფის, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების, საქართველოს მოქალაქის, პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების შემდგომი განმტკიცების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. კოდექსები მომზადდეს 1994 წლის 1 იანვრამდე და გამოიცეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ეგიდით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოწვეულ მეცნიერ და პრაქტიკოს იურისტთა ძალისხმევით უზრუნველყოს ახალი კოდექსების პროექტების მომზადება და მათი წარდგენა საქართველოს რესპუბლიკის ახალი კოდექსების შემმუშავებელი მთავრობის კომისიისათვის.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო კოდექსების პროექტების შემუშავებისათვის საჭირო სახსრებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

6. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის თავმჯდომარეს ჯ. ხეცურიანს.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 18 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 229 საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნოს იოსებ კარლოს ძე **გოგოძე**, ხოლო თავმჯდომარის მოადგილეებად: ნანა ნესტორის ასული **გაწერელია**, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **ლანდია** და გურამ დიმიტრის ძე **ციქურიშვილი**.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 18 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 230 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სამართლებრივი თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სამართლებრივი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ტექსტი (ერთვის დადგენილების დედანს).

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს თ. სიგუას ა/წლის 1 ივლისამდე მოამზადოს საჭირო მასალები აღნიშნულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

3. აღნიშნული თანამშრომლობისათვის ქ. ლენინგრადში საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნოს **ვ. სიხარულიძე** (სამუშაო ადგილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სისტემაში) და დაევალოს წარმოადგინოს წინადადებანი სათანადო მუშაობის გასაწევად.

4. ამ დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ნ. ბურჯულაძეს.**

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 18 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 231 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის რეფერენდუმის ჩატარებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში დეპუტატის არჩევნების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 28 თებერვალს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ უნდა ჩატარებულიყო 1991 წლის 17 მარტს დანიშნული სსრ კავშირის რეფერენდუმი. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჭოს პრეზიდიუმმა 1991 წლის 16 მარტს გააუქმა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია.

მიუხედავად ამისა 1991 წლის 17 მარტს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებში, აგრეთვე ქ. ცხინვალში, ჯავის რაიონში, აფხაზეთის ასსრ ზოგიერთ რაიონში მაინც ჩატარდა სსრ კავშირის რეფერენდუმი, ხოლო № 699 სოხუმის საარჩევნო ოლქში გაიმართა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნებიც.

კენჭისყრის დროს უხეშად დაირღვა „საერთო სახალხო კენჭისყრის (სსრკ რეფერენდუმის) შესახებ“ და „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ სსრ კავშირის კანონთა მოთხოვნები, აგრეთვე საარჩევნო უბნებისა და საარჩევნო კომისიების შექმნის კანონით დადგენილი ვადები და წესი, ზოგან კი საარჩევნო კომისიებს არ მიეცათ მუშაობის შესაძლებლობა; ამასთან, ამომრჩეველთა სიებში არ შეიტანეს აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის ამომრჩეველთა გვარები, რომელთა რიცხვი 50 ათასზე მეტია.

აღნიშნული ფაქტების შესწავლას შეუდგა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა, რაც შეჩერებულ იქნა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მითითებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 77-ე მუხლის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 16 მარტის დადგენილების შესაბამისად აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში 1991 წლის 17 მარტს გამართული სსრ კავშირის რეფერენდუმისა და № 669 სოხუმის ტერიტორიულ საარჩევნო ოლქში ჩატარებული სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების შედეგები ჩაითვალოს იურიდიული ძალის არმქონედ.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაწილებში 1991 წლის 17 მარტს ჩატარებული სსრ კავშირის რეფერენდუმის შედეგები არ ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის რეფერენდუმის შედეგებად, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას არ აქვს საარჩევნო უფლება.

3. დაისვას საკითხი სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წინაშე, რათა შეისწავლოს საქართველოს რესპუბლიკაში სსრ კავშირის რეფერენდუმისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების მიმდინარეობისას კანონით დადგენილი ნორმების უხეში დარღვევების ფაქტები და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

4. დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინაშე, რათა ბათილად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების № 669 სოხუმის ტერიტორიულ სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



არჩევნო ოლქში 1991 წლის 17 მარტს გამართული არჩევნების შედეგები და დაინიშნოს ხელახალი არჩევნები.

5. დაისვას საკითხი სსრ კავშირის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის წინაშე, რათა ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარებული სსრ კავშირის რეფერენდუმის შედეგები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 22 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 232 ტ. ზ. ალავიძის ცაგერის რაიონის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ტარიელ ზურაბის ძე **ალავიძე** ცაგერის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 22 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 233 დ. ი. სვანიძის ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს დავით იაკობის ძე **სვანიძე** ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 22 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 234 ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გ. გ. წულაძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
გათავისუფლდეს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი გიორგის ძე **წულაძე** დაკავებული თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 22 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 235 ა. ა. კოსტავას ქ. ქუთაისის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**
დაინიშნოს არჩილ ანდროს ძე **კოსტავა** ქ. ქუთაისის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 22 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 236 საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შენობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შენობა (მაჩაბლის ქ., 11) მთელი თავისი სათავსოებით ა. წ. 26 მარტიდან გადაეცეს საქართველოს მწერალთა კავშირს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 25 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 237 „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის შეცვლის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწონებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესახებ“ კანონის 34-ე მუხლის შეცვლის თაობაზე“ და იგი შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის განსახილველად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 25 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 238 საქართველოს რესპუბლიკაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უფლებამოსილების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიმართავენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილების კონკრეტული ვადების გამო. ამასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საჭიროდ მიაჩნია განმარტოს შემდეგი:

„საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით საქართველოს რესპუბლიკაში შეწყდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების უფლებამოსილება; შესაბამისად შეწყდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა უფლებამოსილებაც. აქედან გამომდინარე 1990 წლის 11 დეკემბრის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკაში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სესიების მოწვევა უკანონო აქტია, ხოლო ამ ე. წ. სესიებზე მიღებული გადაწყვეტილებანი კი — იურიდიული ძალის არმქონე.

იმავე კანონით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილება სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოების არჩევამდე.

საკრებულოების არჩევიდან არაუგვიანეს ათი დღისა უნდა ჩატარდეს მათი პირველი სესიები, სადაც უნდა მოხდეს აღმასრულებელი ორგანოების — გამგეობების ფორმირება. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების — პრეფექტურებისა და გამგეობების ფორმირებამდე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 25 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

(1991 წლის 20 მარტი)

### საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 239 „რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

„რეფერენდუმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისა და საოლქო სარეფერენდუმო კომისიების მოვალეობების შესრულება ეკისრებათ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების საოლქო ან საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებს. საუბნო სარეფერენდუმო კომისიებს ქმნიან საოლქო სარეფერენდუმო კომისიები ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის მიერ დადგენილი წესით“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 240 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ

გაითვალისწინა რა საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიის წინადადებები 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმში საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა მონაწილეობისათვის ხელის შეწყობის მიზნით რეფერენდუმის ჩატარების დღეს საარჩევნო უბნებში კენჭისყრა ჩატარდეს 7-დან 22 საათამდე; ამომრჩეველთა სიებში შეტანილ მოქალაქეებს, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებიც რაიმე ობიექტური მიზეზის გამო 31 მარტს არ იქნებიან საქართველოში, უფლება მიეცეთ წინასწარ მისცენ ხმა ა. წ. 23 მარტიდან 31 მარტამდე ნებისმიერ დღეს, 10-დან 19 საათამდე შესაბამისი ტერიტორიული (საოლქო, საქალაქო) საარჩევნო კომისიის მიერ მითითებულ საარჩევნო უბანში.

2. ცენტრალურმა სარეფერენდუმო კომისიამ ა. წ. 22 მარტამდე შეიმუშაოს წინასწარ ხმის მიცემის წესი, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხმის მიცემის საიდუმლოება და გამოირიცხოს ერთი და იმავე ამომრჩევლის მიერ ერთზე მეტ საარჩევნო უბანში ხმის მიცემის შესაძლებლობა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 241 საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 1.** საქართველოს რესპუბლიკა არის დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც გამოხატავს საქართველოს მოსახლეობის ერთობლივ ნებას და უზრუნველყოფს მისი ყველა მოქალაქის ინტერესების დაცვას განურჩევლად მათი ეროვნული და სარწმუნოებრივი კუთვნილებისა.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია".

2. მე-19 მუხლი ამოღებულ იქნეს.

3. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 31.** საქართველოს რესპუბლიკაში, როგორც სუვერენულ სახელმწიფოში, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის პირველადობის გათვალისწინებით საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე გარდამავალ პერიოდში იმავდროულად სსრ კავშირის მოქალაქეა.

სსრ კავშირის შემადგენლობაში მყოფი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე არ შეიძლება იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე იყოს.

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შემადგენლობაში მყოფი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის თანაბარი უფლებებით სარგებლობს და თანაბარი მოვალეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბები ეკისრება, გარდა იმ უფლებებისა და მოვალეობებისა, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის არის დაწესებული.

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს საზღვარგარეთ იცავენ და მფარველობენ საქართველოს რესპუბლიკა და სსრ კავშირი".

4. 46-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სახალხო კონტროლში".

5. 50-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ხოლო სკოლა — ეკლესიისაგან".

6. 59-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

7. 72-ე მუხლში:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„3) საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხთა გადაწყვეტა; ავტონომიური ფორმირების სტატუსის შეცვლის ან გაუქმების, ახალი ავტონომიური ფორმირების შექმნის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით (საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმით)";

ბ) მე-7 პუნქტში სიტყვები: „ეკონომიკის ხელმძღვანელობა" შეიცვალოს სიტყვებით: „რეგულირება საბაზრო ურთიერთობათა პრინციპების საფუძველზე";

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„8) საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შედგენა, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემუშავება და დამტკიცება, მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება; აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტების, რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების შესრულების ხელმძღვანელობა";

დ) მე-9 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად";

ე) მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

8. 74-ე მუხლის მე-3 ნაწილში სიტყვები „საკავშირო დაქვემდებარების" შეიცვალოს სიტყვებით „მის ტერიტორიაზე განლაგებული".

9. მე-80 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მათ გამგებლობაში შემავალ საკითხებზე კოორდინაციას უწევენ და აკონტროლებენ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობას".

10. 88-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

11. 104-ე მუხლში:

ა) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„7) იწონებს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზსა და ამტკიცებს უმნიშვნელოვანეს რესპუბლიკურ პროგრამებს";

ბ) მე-19 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტსა და".

12. 110-ე მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტს;".

13. 112-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე".

14. 113-ე მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„10) იღებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ, წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობიდან გასვლის, მოქალაქეობის ჩამორთმევისა და უცხოელთათვის თავშესაფრის მიცემის საკითხებს";

15. 115-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის".

16. 117-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის".

17. 120-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ამოღებულ იქნეს.

18. 125-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„2) შეიმუშავებს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზები, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი; იღებს ზომებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესასრულებლად, საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფისათვის; საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებში კოორდინაციასა და კონტროლს უწევს მის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და დაწესებულება-ორგანიზაციების საქმიანობას; საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს".

19. VIII კარის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი".

20. მე-19 თავი ამოღებულ იქნეს (მუხლები 152, 153, 154, 155, 156, 157).

21. მე-20 თავი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„თ ა ვ ი 20

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი

**მუხლი 158.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს რესპუბლიკის ძირითად საფინანსო გეგმას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



**მუხლი 159.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი აერთიანებს საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებს.

**მუხლი 160.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის გამიჯვნას საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებს შორის განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ.

**მუხლი 161.** საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს შეიმუშავებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მოხსენებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დასკვნების მიხედვით.

საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებს მოქმედი ნორმატივებისა და ლიმიტების საფუძველზე შეიმუშავებენ და ამტკიცებენ სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოები. ამ წესით დამტკიცებული ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტი და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტები შევა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 162.** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას აკონტროლებს, მისი შესრულების ანგარიშს ამტკიცებს და საჭიროების შემთხვევაში ბიუჯეტში ცვლილებები შეაქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს. ბიუჯეტის შესრულების ზოგადი მაჩვენებლები ქვეყნდება საყოველთაო გაცნობისათვის".

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 242 საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა და მსაჯულთა ფიცის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა და მსაჯულთა ფიცის ტექსტი (თან ერთვის).

2. დაწესდეს, რომ პირველად არჩეული (დანიშნული) მოსამართლეები და პირველად არჩეული მსაჯულები დებენ ფიცს.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეები ფიცს დებენ შესაბამისი სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების წინაშე.

4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მსაჯულები ფიცს დებენ შესაბამისი სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების წინაშე, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულები — მათი ამრჩევი კოლექტივის წინაშე.

5. თითოეული მოსამართლე და მსაჯული ინდივიდუალურად წარმოთქვამს ფიცს. ფიცის ტექსტს ხელს აწერს ფიცის დამდები მოსამართლე (მსაჯული) და იგი ინახება მის პირად საქმეში.

6. ფიცი იდება მოსამართლის არჩევის (დანიშვნის) და მსაჯულის არჩევის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 17 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ფიცის შესახებ" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ., № 1, მუხ. 3).

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს 1991 წლის 20 მარტის
დადგენილებით

**საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოს მოსამართლის (მსაჯულის)**

## ფ ი ც ი

ვინაიდან მე, ______________________________, მხვდა პატივი
(სახელი, გვარი)

მოსამართლეობისა (მსაჯულობისა), ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ:

უანგაროდ განვახორციელო მართლმსაჯულება, ზუსტად დავიცვა კანონი;

მთელი ჩემი ცოდნა და ძალისხმევა მოვახმარო კანონის წინაშე ყველას თანასწორობის, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპების დაცვას, სასამართლოში საქმეთა დროულად და მიუკერძოებლად განხილვას.

ვილვაწო, რათა საქართველოს რესპუბლიკაში სუფევდეს სამართლიანობა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემა; საზოგადოებას შთავუნერგო რწმენა და მოწიწება მოსამართლისა და სასამართლოს რთული, საპასუხისმგებლო საქმიანობისადმი, ყველგან და ყოველთვის დავიცვა მოსამართლის (მსაჯულის) მაღალი ღირსება და ვიყო ფიცის ერთგული.

მოსამართლე (მსაჯული) ______________________________

(ხელმოწერა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 243 საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

დამტკიცებულია<br>საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი<br>საბჭოს 1991 წლის 20 მარტის<br>დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## 244 საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის შესახებ

1. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაცია ტარდება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების მიერ მოსამართლეთა შემადგენლობის გაუმჯობესების, კანონიერების განმტკიცებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების, საზოგადოების ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის მიზნით.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს საკვალიფიკაციო შეფასებას აძლევს და საკვალიფიკაციო კლასს ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს საკვალიფიკაციო შეფასებას აძლევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის წარდგინებით ანიჭებენ მათ საკვალიფიკაციო კლასებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



3. საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეებს საკვალიფიკაციო შეფასებას აძლევს საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის წარდგინებით საკვალიფიკაციო კლასებს ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

4. ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს საკვალიფიკაციო შეფასებას აძლევენ ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები, ხოლო საკვალიფიკაციო კლასებს ანიჭებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმები ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრთა, ხოლო უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეთა წარდგინებით.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საკვალიფიკაციო შეფასებას აძლევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო კოლეგია, ხოლო საკვალიფიკაციო კლასებს ანიჭებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

6. მორიგი საკვალიფიკაციო ატესტაცია ეწყობა მინიჭებულ საკვალიფიკაციო კლასში მოსამართლის ყოფნის ვადის ამოწურვის დღიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომის მოწვევის კონკრეტულ ვადებს განსაზღვრავენ შესაბამისი სასამართლოს, იუსტიციის ორგანოს ხელმძღვანელები და ამის შესახებ საატესტაციო პირებს ატყობინებენ სულ ცოტა ერთი თვით ადრე ატესტაციის დაწყებამდე.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაცია შეიძლება მოეწყოს ვადამდე უფრო მაღალი საკვალიფიკაციო კლასის მისანიჭებლად.

საკვალიფიკაციო კლასის არმქონე მოსამართლეები ან ზემდგომი სასამართლოს მოსამართლეები საკვალიფიკაციო ატესტაციას გადიან მუშაობის პირველი ექვსი თვის განმავლობაში.

7. ატესტაციის მოწყობამდე სულ ცოტა ერთი თვით ადრე მოსამართლის ატესტაციაზე წარმდგენი ორგანო შეადგენს მის დახასიათებას, რომელშიც შეფასებული და ასახული იქნება მოსამართლის პროფესიული მომზადების დონე, მისი საქმიანი და ზნეობრივი თვისებები.

მოსამართლეს სულ ცოტა ორი კვირით ადრე ატესტაციამდე უნდა გააცნონ მასზე შედგენილი დახასიათება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომის მომზადებას უზრუნველყოფს მისი თავმჯდომარე ან ამ უკანასკნელის დავალებით — საკვალიფიკაციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი.

8. საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კოლეგიის წევრთა უმრავლესობა.

საკვალიფიკაციო ატესტაცია ეწყობა საატესტაციო მოსამართლის თანდასწრებით შესაბამისი წარდგინების შემოსვლის დღიდან ერთი თვის ვადაში. თუ მოსამართლე არასაპატიო მიზეზით არ გამოცხადდა საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომაზე, ატესტაცია შეიძლება მოეწყოს მის დაუსწრებლად.

საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ წარდგენის შემომტან სასამართლოებისა და იუსტიციის ორგანოების ხელმძღვანელებს, ხოლო საკვალიფიკაციო კოლეგიის შეხედულებისამებრ — სხვა პირებსაც.

9. მოსამართლის ატესტაცია იწყება სხდომის თავმჯდომარის ან კოლეგიის ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელმაც წინასწარ შეისწავლა წარმოდგენილი საბუთები და მასალები. შემდეგ მოუსმენენ საატესტაციო პირს, ხოლო საჭიროებისამებრ — კოლეგიის სხდომაზე მოწვეულ სხვა პირებსაც.

10. პროფესიული ცოდნის დონის, სტაჟისა და მუშაობის გამოცდილების, თანამდებობის მიხედვით საკვალიფიკაციო კოლეგია იღებს ერთ-ერთს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან:

მოსამართლისათვის საკვალიფიკაციო კლასის მინიჭების შესახებ;

მოსამართლისათვის უფრო მაღალი საკვალიფიკაციო კლასის მინიჭების თაობაზე;

მოსამართლისათვის შანამდე მინიჭებული საკვალიფიკაციო კლასის დატოვების შესახებ.

საკვალიფიკაციო კოლეგიას უფლება აქვს შეიტანოს რეკომენდაციები მოსამართლეთა წახალისების შესახებ, წინადადებანი მოსამართლის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისა და მის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებისას ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საჭიროების თაობაზე.

11. საკვალიფიკაციო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს სხდომის მონაწილე კოლეგიის წევრთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრა ეწყობა საატესტაციო მოსამართლისა და მოწვეული პირების დაუსწრებლად. გადაწყვეტილება უნდა იყოს მოტივირებული და ხელმოწერილი სხდომის თავმჯდომარისა და კოლეგიის წევრთა მიერ.

საკვალიფიკაციო ატესტაციის შედეგებს მოსამართლეს აცნობებენ კენჭისყრის დამთავრებისთანავე.

12. დასკვნა და ატესტირებული მოსამართლის დახასიათება დაერთვის მის პირად საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 245 საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 17 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ., № 1, მუხ. 5).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

დამტკიცებულია<br>საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი<br>საბჭოს 1991 წლის 20 მარტის<br>დადგენილებით.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### 246 საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ყოველწლიურად იწვევენ მოსამართლეთა კონფერენციებზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების კონფერენცია მოიწვევა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეების კონფერენცია

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოიწვევა ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრებისა და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეების ერთობლივი გადაწყვეტილებით.

3. მოსამართლეთა კონფერენცია:

განიხილავს სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს;

მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს წინადადებებით სახელმძღვანელო განმარტებების მიცემის ან საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგინებების შეტანის, ანდა კანონის განმარტების შესახებ;

ირჩევს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას;

ისმენს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის ანგარიშს მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

4. კონფერენცია შეიძლება იყოს მორიგი და რიგგარეშე. მორიგი კონფერენცია ტარდება ყოველწლიურად, როგორც წესი, წლის პირველ კვარტალში.

რიგგარეშე კონფერენცია მოიწვევა მოსამართლეთა შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით ან ამ დებულების მე-2 მუხლის შესაბამისად.

5. მორიგი კონფერენციის ჩატარების თარიღი და დღის წესრიგი გამოცხადდება კონფერენციის დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი თვისა.

6. მოსამართლეთა კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს მოსამართლეთა შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა.

7. კონფერენცია ღია კენჭისყრით ირჩევს კონფერენციის თავმჯდომარეს და მდივანს, რომელიც ადგენს კონფერენციის ოქმს.

კონფერენციის თავმჯდომარე აცხადებს დღის წესრიგს და უძღვება კონფერენციის მუშაობას.

8. მოსამართლეებს, რომლებიც საპატიო მიზეზით არ ესწრებიან კონფერენციას, შეუძლიათ იუსტიციის შესაბამის ორგანოებს წერილობით წარუდგინონ თავიანთი წინადადებები. ეს წინადადებები მოხსენდება კონფერენციას.

9. მოსამართლეთა კონფერენციაზე ყველა საკითხი წყდება კონფერენციის მონაწილე მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით.

10. მოსამართლეთა კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლს ახორციელებს კონფერენციაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ მოახსენებს კონფერენციას. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან როგორც მოსამართლეები, ისე იუსტიციის ორგანოების წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

**247** საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს „დებულება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ".

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 17 იანვრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ., № 1, მუხ. 4).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

დამტკიცებულია
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს 1991 წლის 20 მარტის
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**248** საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევისა და საქმიანობის ორგანიზაციის წესის შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებს სასამართლოების მოსამართლეთა ოთხი საკვალიფიკაციო კოლეგია:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია;

აფხაზეთის ასსრ სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმი ხუთი წლის ვადით უზენაესი სასამართლოს წევრთა რიცხვიდან, თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და წევრების შემადგენლობით.

3. საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას ირჩევს ამ სასამართლოთა მოსამართლეების კონფერენცია ხუთი წლის ვადით, რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა რიცხვიდან, თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრების შემადგენლობით.

4. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ მოსამართლეთა შესაბამისი კონფერენციები ხუთი წლის ვადით მოსამართლეებისა და უზენაესი სასამართლოების წევრთა რიცხვიდან, თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრების შემადგენლობით.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების შემადგენლობაში არ შედიან.

6. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის რიცხობრივი შემადგენლობა განისაზღვრება მისი არჩევის დროს.

7. საკვალიფიკაციო კოლეგიაში არჩეული მოსამართლეები კოლეგიის მუშაობის პერიოდში თავისუფლდებიან თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობისაგან.

8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია ანგარიშვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის წინაშე.

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები ანგარიშს აბარებენ მოსამართლეთა შესაბამის კონფერენციებს ორ წელიწადში ერთხელ და თავიანთი უფლებამოსილების ვადის გასვლისას.

9. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ეკისრებათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიისა — საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს;

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიისა—საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს;

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებისა — შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროებს.

10. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია:

იძლევა დასკვნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად დასახელების შესაძლებლობის შესახებ;

ატარებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციას;

იძლევა დასკვნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა გაწვევისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე.

11. საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია:

ატარებს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების საკვალიფიკაციო ატესტაციას;

აფასებს რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატის მზადყოფნას სასამართლო საქმიანობისათვის და ატარებს მათ საკვალიფიკაციო გამოცდას;

იძლევა დასკვნას ზემდგომი სასამართლოს მოსამართლედ დასახელებული კანდიდატის სასამართლო საქმიანობისათვის მზადყოფნის შესახებ;

იძლევა დასკვნას მოსამართლეთა გაწვევის შესახებ და განიხილავს მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

12. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია:

ატარებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების მოსამართლეების საკვალიფიკაციო ატესტაციას;

ატარებს ავტონომიური რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციას;

აფასებს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების, რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატის მზადყოფნას სასამართლო საქმიანობისათვის და ატარებს მათ საკვალიფიკაციო გამოცდას;

იძლევა დასკვნას ზემდგომი სასამართლოს მოსამართლედ დასახელებული

— 45 —

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანდიდატის საქმიანობისათვის მზადყოფნის შესახებ;

იძლევა დასკვნას მოსამართლეთა გაწვევის შესახებ და განიხილავს მათი დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს.

13. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს საკვალიფიკაციო შეფასებას აძლევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მათთვის საკვალიფიკაციო კლასის მინიჭებასთან ერთად.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს საკვალიფიკაციო შეფასებას აძლევენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმები მათთვის საკვალიფიკაციო კლასის მინიჭებასთან ერთად.

14. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია მასზე დაკისრებულ უფლებამოსილებებს განახორციელებს კოლეგიის წევრთა უმრავლესობისას. კოლეგიის სხდომას ამზადებს კოლეგიის თავმჯდომარე ან მისი დავალებით კოლეგიის რომელიმე წევრი.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიას უფლება აქვს თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის მოითხოვოს აუცილებელი ინფორმაცია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომა ტარდება კოლეგიაში შესაბამისი წარდგინების შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში. საკვალიფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარე განსაზღვრავს სხდომის ჩატარების დროსა და ადგილს და სამი დღით ადრე აცნობებს ამის შესახებ კანდიდატს ან მოსამართლეს, რომლის საკითხიც განიხილება, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც შეიტანეს წარდგინება.

კოლეგიის სხდომაზე გადასაწყვეტი საკითხების განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის ან კოლეგიის ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელმაც წინასწარ შეისწავლა წარმოდგენილი საბუთები და მასალები. შემდეგ კოლეგია მოუსმენს მოწვეულ პირებს, გამოიკვლევს ამ მასალებს. კოლეგიის სხდომების შესახებ დგება ოქმი.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს კოლეგიის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმის მიცემას არ ესწრებიან ის პირნი, რომელთა საკითხიც იხილება, და აგრეთვე მოწვეული პირები. …ვნა კეთდება წერილობით. იგი მოტივირებული უნდა იყოს და მას ხელს აწერენ კოლეგიის თავმჯდომარე და წევრები. გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება.

16. საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნა ათი დღის ვადაში ეგზავნება:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

საქართველოს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მოსამართლეების მიმართ — ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებს და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს;

ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეებსა და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 249 საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ

### თ ა ვ ი I

### მსაჯულთა არჩევნების ორგანიზაცია

**მუხლი 1.** არჩევნების დანიშვნის წესი

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის შესახებ პრესაში ქვეყნდება არა უგვიანეს 30 დღისა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები ადგენენ რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ვადას შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მიხედვით. რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ვადას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

**მუხლი 2.** არჩევნების ორგანიზაცია

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებს აწყობენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო:

ა) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს;

ბ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების არასწორად ჩატარების შესახებ;

გ) განსაზღვრავს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების შედეგებს რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მიხედვით, ადგენს და ამტკიცებს არჩეულ მსაჯულთა სიას;

დ) აძლევს არჩეულ მსაჯულებს მსაჯულის მოწმობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) აქვეყნებს ცნობას რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების შედეგების შესახებ;

ვ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

**მუხლი 3.** არჩევნების ჩატარების წესი

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნები ტარდება მოქალაქეთა კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა ასარჩევად კრებებს იწვევენ პოლიტიკური პარტიები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები.

მოქალაქეთა კრებას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

კრებები ტარდება შრომით კოლექტივებში, დასახლებულ პუნქტებში, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლები არ არის. თუ ამომრჩეველთა რიცხვი მათში 100 კაცზე ნაკლებია, არჩევნები ტარდება სხვა შრომით კოლექტივებთან, სხვა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ამომრჩევლებთან ერთად.

დიდ შრომით კოლექტივებში კრებები შეიძლება ჩატარდეს საამქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების მიხედვით.

მსაჯულთა ასარჩევი კრების დროისა და ადგილის შესახებ მოქალაქეებს აცნობებენ კრებამდე არა უგვიანეს სამი დღისა.

კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა უმრავლესობა ან ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულების კანდიდატურებს ასახელებენ პოლიტიკური პარტიები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები.

კრების ყოველ დამსწრეს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს დასახელებული კანდიდატურების განხილვაში, მხარი დაუჭიროს წამოყენებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევა ხდება კენჭისყრით თითოეული კანდიდატურისათვის ცალ-ცალკე.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულებად არჩეულად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებმაც მიიღეს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი, ანდა ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კრებაზე ირჩევენ პრეზიდიუმს და ადგენენ ოქმს.

**მუხლი 4.** მსაჯულთა საარჩევნო კრების ოქმი

ხმის მიცემის შედეგები შეაქვთ კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობა.

კრების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: იმ ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც გაიმართა კრება; კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლე-

ბულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; მსაჯულობის თითოეული კანდიდატის გვარი, სახელი და მამის სახელი, მსაჯულობის თითოეული კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა; თითოეული არჩეული მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე იყო თუ არა იგი ადრე არჩეული მსაჯულად.

კრების ოქმი ხელმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ გადაეგზავნება სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოს.

**მუხლი 5.** მსაჯულთა არჩევნების შედეგების დადგენა

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები კრების ოქმების საფუძველზე დაადგენენ მსაჯულთა არჩევნების შედეგებს და შეადგენენ მოცემული რაიონის (ქალაქის), ქალაქის რაიონის სასამართლოს მსაჯულთა სიას.

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ არჩევნები ბათილად ცნონ არჩევნების დროს დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო არჩევნებს ჩატარებულად არ ჩათვლის, თუ მასში მონაწილეობდა მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა ან დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთა ნახევარზე ნაკლები.

მსაჯულთა სიას დაამტკიცებს მმართველობის ადგილობრივი ორგანო და გადაუგზავნის რაიონის (ქალაქის), ქალაქის რაიონის სასამართლოს.

## თავი II

### ხელახალი არჩევნები. გამოკლებულთა ნაცვლად ახალ მსაჯულთა არჩევნები, მსაჯულთა არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში

**მუხლი 6.** ხელახალი არჩევნები. გამოკლებულთა ნაცვლად ახალ მსაჯულთა არჩევნები

თუ მსაჯულის არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი ან ჩატარებულად არ ჩაითვალა, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები აწყობენ ხელახალ არჩევნებს.

იმ შემთხვევაში, თუ რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გამოაკლდა მსაჯული მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, შეიძლება ჩატარდეს ახალი არჩევნები.

ხელახალი არჩევნები და გამოკლებულთა ნაცვლად ახალ მსაჯულთა არჩევნები ტარდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

**მუხლი 7.** მსაჯულთა არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში და დამატებითი არჩევნები

ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში მსაჯულთა არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შექმნა შეუძლებელია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის

ეროვნული ბიბლიოთეკა



შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ მსაჯულთა არყოფნის გამო.

მსაჯულთა დამატებითი არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შესაქმნელად არასაკმარისია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ მსაჯულთა რაოდენობა, აგრეთვე როდესაც საჭიროა შესაბამისი სასამართლოს მსაჯულთა რიცხვის გაზრდა.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები არა უგვიანეს ერთი თვისა რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შექმნის ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში მსაჯულთა რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან; არჩევნები ტარდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

## თ ა ვ ი III

### მსაჯულის მოწმობა. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და მათი შენახვის წესი. საარჩევნო ყუთის ნიმუში

**მუხლი 8.** მსაჯულის მოწმობა

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა სიის დამტკიცების შემდეგ თითოეულ არჩეულ მსაჯულს აძლევენ შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულის მოწმობას.

**მუხლი 9.** საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და საარჩევნო ყუთის ნიმუში

ამომრჩეველთა სიის, ხმის მიცემის უფლების მოწმობის, საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმებს, საარჩევნო ბიულეტენის ფორმასა და ფერს, საარჩევნო ყუთის ნიმუშს, რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულთა სიისა და მსაჯულის მოწმობის ფორმებს აწესებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**მუხლი 10.** საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესი

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების საარჩევნო კომისიების საქმისწარმოების მასალებს საარჩევნო კომისიები თავიანთი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადასცემენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# თ ა ვ ი IV

## მსაჯულის გაწვევის წესი

**მუხლი 11.** მსაჯულის გასაწვევი კრების ჩატარების წესი

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯული შეიძლება გაწვეულ იქნეს იმ შრომითი კოლექტივის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრების გადაწყვეტილებით, რომლებმაც იგი აირჩიეს.

კრებები იმართება ამომრჩეველთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კრებებს იწვევენ პოლიტიკური პარტიები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, მოქალაქეთა კრებას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა უმრავლესობა, ანდა ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება მსაჯულის გაწვევასთან დაკავშირებით მიიღება ღია კენჭისყრით.

კრებაზე აირჩევა პრეზიდიუმი და დგება ოქმი

**მუხლი 12.** მეთვალყურეობა გაწვევის შესახებ კანონის შესრულებისადმი

მსაჯულის გაწვევისას ამ კანონის შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

**მუხლი 13.** მსაჯულის გასაწვევი კრების ოქმი

ამომრჩეველთა კრების ოქმში უნდა აღინიშნოს: იმ ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც გაიმართა კრება; კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი, გასაწვევი მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი, მსაჯულის გაწვევის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი დაუყოვნებლივ წარედგინება სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოს.

**მუხლი 14.** მსაჯულის გაწვევის შედეგების დადგენა

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო განიხილავს მსაჯულის გასაწვევად გამართული კრების ოქმს და თუ გაწვევა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით მოხდა, ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეს.

მსაჯული გაწვეულად ჩაითვლება, თუ მის გაწვევას ხმა მისცა მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯულის გასაწვევად კენჭისყრის მოწყობის დროს ამ კანონის დარღვევის თაობაზე საჩივრებს განიხილავს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 250 მსაჯულების მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მსაჯულებს, რომლებიც არ მუშაობენ, სასამართლოში დაკისრებული მოვალეობის შესრულების ყოველი დღისათვის ეძლევათ დღიურები სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

2. სახელმწიფო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე მსაჯულებს მათ მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულების განმავლობაში მუდმივ სამუშაო ადგილას უნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი, ხოლო რაც შეეხება სხვა ანაზღაურებებსა და შეღავათებს, სასამართლოში მსაჯულების მიერ მოვალეობის შესრულების დრო გათანაბრებულია ძირითადი სამუშაოს შესრულების დროსთან.

ამავე მსაჯულებს, თუ ისინი მსაჯულის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ფარგლებს გარეთ გაემგზავრებიან, ძირითად სამუშაო ადგილას საშუალო ხელფასის შენარჩუნების გარდა ეძლევათ დღიურები და აუნაზღაურდებათ ბინის დაქირავებისა და მგზავრობის ხარჯები სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

ამავე შემთხვევაში, მსაჯულებს, რომლებიც არ მუშაობენ, ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული თანხების გარდა, აუნაზღაურდებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხარჯები მგზავრობისა და ბინის დაქირავებისათვის სამსახურებრივ მივლინებათა შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ოდენობით.

4. ამ დადგენილების პირველი და მე-3 მუხლით განსაზღვრული თანხების ანაზღაურება წარმოებს შესაბამისი სასამართლოების ხახსრებიდან.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სახალხო მსაჯულების მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ" საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 17 იანვრის ბრძანებულების 1-6 მუხლები (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1990 წ., № 1, მუხ. 6).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

### დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## 251 საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კლასების დაწესების შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეებს დაუწესდეთ შემდეგი საკვალიფიკაციო კლასები:

უმაღლესი საკვალიფიკაციო კლასი;

პირველი საკვალიფიკაციო კლასი;

მეორე საკვალიფიკაციო კლასი:

მესამე საკვალიფიკაციო კლასი;

მეოთხე საკვალიფიკაციო კლასი;

მეხუთე საკვალიფიკაციო კლასი;

2. დამტკიცდეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კლასების შესახებ.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

**თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



5. ავტონომიური რესპუბლიკების რაიონის (ქალაქის) და უზენაესი სასამართლოების მოსამართლეებს საკვალიფიკაციო კლასს ანიჭებენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების პრეზიდიუმების საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრთა წარდგინებით, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ — ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

6. პირველად არჩეულ მოსამართლეებს საკვალიფიკაციო კლასები ენიჭებათ მუშაობის პირველი ექვსი თვის განმავლობაში.

7. თითოეულ საკვალიფიკაციო კლასში ყოფნის ვადებია:

მეხუთე საკვალიფიკაციო კლასში 3 წელი;
მეოთხე საკვალიფიკაციო კლასში 5 წელი;
მესამე საკვალიფიკაციო კლასში 5 წელი;
მეორე საკვალიფიკაციო კლასში 5 წელი.

უმაღლეს და პირველ საკვალიფიკაციო კლასებში ყოფნის დრო არ წესდება.

მაღალკვალიფიციურ მოსამართლეებს მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება მიენიჭოთ საკვალიფიკაციო კლასი თანამდებობის მიხედვით გათვალისწინებულისაგან დამოუკიდებლად და თანამიმდევრობის დაუცველად.

8. მინიჭებულ საკვალიფიკაციო კლასს მოსამართლეები ინარჩუნებენ სამუდამოდ.

მოსამართლეს საკვალიფიკაციო კლასი შეიძლება ჩამოერთვას მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის ან ისეთი საქციელის ჩადენისათვის, რომელიც ბღალავს მის ღირსებას, აგრეთვე მის მიმართ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის გამო.

საკვალიფიკაციო კლასის ჩამორთმევა ხდება ამ კლასის მიმნიჭებელი ორგანოს მიერ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის წარდგინებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიმართ — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

9. მოსამართლეებს საკვალიფიკაციო კლასის მინიჭების შემდეგ უწესდებათ თანამდებობრივი სარგოს დანამატი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

## 253 ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების — სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

ხელმძღვანელობს რა ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპებით, აგრეთვე მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების და ორგანიზაციების მოთხოვნით იმის თაობაზე, რომ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით დასჯა, როგორც დროებითი და იძულებითი ღონისძიება, არ იქნეს გამოყენებული ზოგიერთი დანაშაულისათვის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

I. გაუქმდეს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით **დასჯა** დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლით (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება), 89-ე მუხლით (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა), $96^{1}$ მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცება) და 189-ე მუხლით (ქრთამის აღება).

II. ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილება:

1. 24-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაიშვება სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, რაც აღნიშნულია ამ კოდექსის მუხლებში, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით სპეციალურად გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში, — აგრეთვე ზოგიერთი სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის“.

2. 88-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

3. 89-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

4. $96^{1}$ მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

5. 189-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

III. იმ განაჩენში, რომლითაც ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული დანაშაულისათვის დადგენილია სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა და ამ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე არ არის მოყვანილი სისრულეში, ზემდგომი სასამართლო სიკვდილით დასჯას შეცვლის თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტ წლამდე.

IV. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

### 254 საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის გაუქმების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტი.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 255 ბ. დ. მახარაშვილის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ბეგლარ დიმიტრის ძე **მახარაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 256 ო. ვ. მელქაძის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

გათავისუფლდეს ოთარ ვალერიანის ძე მელქაძე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 257 ლ. ა. ლურწკაიას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ლუდვიგ აქსენტის ძე **ლურწკაია** საქართველოს რესპუბლიკის მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 258 ი. გ. ჩხეიძის საქართველოს რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაინიშნოს იგორ გიორგის ძე **ჩხეიძე** საქართველოს რესპუბლიკის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 259 საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გამოკლებულთა ნაცვლად ახალი წევრების არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

ნება დაერთოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას № 97 მესტიის და № 96 მარტვილის საარჩევნო ოლქებში საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში გამოკლებულთა ნაცვლად ახალი წევრების არჩევნები დაინიშნოს 1991 წლის 12 მაისს, კვირას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### 260 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა ერთი ნაწილის უფლებამოსილების შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა დასაქმების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 30 იანვრის დადგენილებით უზენაესი საბჭოს წევრთა ნაწილს, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი არ შეეწყვიტონ საწარმოო თუ სამსახურებრივი საქმიანობა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 118-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლის საფუძველზე უარი ეთქვათ მათ მიმართ გამონაკლისის დაშვებაზე, რის გამოც ისინი ვალდებული იყვნენ ან შეეწყვიტათ სამსახურებრივი თუ საწარმოო საქმიანობა, ან მოეხსნათ სადეპუტატო უფლებამოსილება. მიუხედავად ამისა დეპუტატთა ნაწილმა უგულებელყო კანონის მოთხოვნები და არ გააკეთა არჩევანი. გარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისა დეპუტატთა ნაწილი სისტემატურად არ ესწრება უზენაესი საბჭოს სხდომებს და პრაქტიკულად არ მონაწილეობს მის მუშაობაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-5 მუხლისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 30 იანვრის დადგენილების საფუძველზე შეწყვეტილად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გურამ ბენედიქტეს ძე ქაშაკაშვილის სადეპუტატო უფლებამოსილება.

2. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დროებით შეჩერდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გივი გრიგოლის ძე გუმბარიძის სადეპუტატო უფლებამოსილება — მის მიერ ამავე კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილით, მე-8-11 მუხლებით, 25-ე მუხლის მეხუთე ნაწილითა და 27-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა; აგრეთვე არ ანაზღაურდეს მისი სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები (200 მანეთი).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია.**

თბილისი, 1991 წლის 20 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომა

20 მარტს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია.

დეპუტატებმა ცვლილებანი და დამატებანი შეიტანეს საქართველოს რესპუბლიკის კანონში რეფერენდუმის შესახებ, განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომლებიც უკავშირდება 1991 წლის 31 მარტს საერთო-რესპუბლიკური რეფერენდუმის მოწყობას და მიიღეს შესაბამისი დადგენილება. კერძოდ, გადაწყვეტილია, ჯერ კიდევ 31 მარტამდე რეფერენდუმის საკითხზე ხმის მიცემის ნება დართონ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო ამ დღეს არ იქნებიან რესპუბლიკაში. რეფერენდუმის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაევალა უზრუნველყოს ფარული კენჭისყრა და გამორიცხოს იმის ყოველგვარი შესაძლებლობა, რომ ერთი და იგივე პირმა მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტ საარჩევნო უბანში.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხზე გამოვიდნენ უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანი გიორგი გულბანი და უზენაესი საბჭოს ეკონომიკური რეფორმის კომისიის თავმჯდომარე გივი თაქთაქიშვილი. ამ საკითხის განხილვის დროს დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა დეპუტატებს განსახილველად წარუდგინა ნორმატიული აქტების პროექტების მთელი პაკეტი. განიხილეს და მიიღეს: უზენაესი საბჭოს დადგენილებები მოსამართლეთა და სასამართლოების მსაჯულთა ფიცის შესახებ, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციის დებულების დამტკიცების შესახებ, მოსამართლეთა კონფერენციის მოწვევისა და ჩატარების წესის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევნების ორგანიზაციისა და საქმიანობის წესის შესახებ; კანონი საქართველოს რესპუბლიკის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ, დადგენილებანი მსაჯულთა მიერ სასამართლო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ოდენობის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოთა მოსამართლეებისათვის საკვალიფიკაციო კლასების დაწესების შესახებ. პირველი წაკითხვით მიღებულია კანონი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლებრივი-საპროცესო კოდექსსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ. დეპუტატებმა აგრეთვე განიხილეს და მიიღეს კანონი სასჯელის უმაღლესი ღონისძიების — ზოგიერთი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უზენაესი საბჭოს სამანდატო და დეპუტატის ეთიკის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ბიძინა დანგაძის წარდგინებით სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შეწყდეს, კანონის თანახმად, უფლებამოსილებანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებისა — გურამ ქაშაკაშვილისა, რომელიც რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას უთავსებდა სადეპუტატო საქმიანობას და გივი გუმბარიძისა, რომელიც პრაქტიკულად თვითონ ჩამოსცილდა დეპუტატის მოვალეობათა შესრულებას.

სესიაზე შიდა ქართლში შექმნილი სიტუაციის გამო განცხადება გააკეთა დეპუტატმა ამირან კალაძემ. ამავე პრობლემას უკავშირდება განცხადება, რომელიც უზენაესი საბჭოს წევრთა ჯგუფის სახელით გააკეთა დეპუტატმა ნოდარ ნათაძემ. გაიმართა აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, დეპუტატები თამაზ გამყრელიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, მზექალა შანიძე, რობერტ პეტრიაშვილი, აპოლონ სილაგაძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბაქარ გიგინეიშვილი და სხვები. გაითვალისწინეს რა შიდა ქართლში შექმნილი უაღრესად დაძაბული სიტუაცია და ამაში ცენტრის უხამსი როლი, დეპუტატებმა გადაწყვიტეს საპროტესტო ნოტა გაუგზავნონ სსრ კავშირის მთავრობას და მიიღონ მიმართვა მსოფლიოს საზოგადოებრიობისადმი. სესიის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ძმათამკვლელი კონფლიქტის მსხვერპლთა ხსოვნას.

დეპუტატებმა განიხილეს უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ნუგზარ მოლოდინაშვილის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის შენობათა წინ პოლიტიკური აქციების ორგანიზაციისა და მოწყობის დადგენილი წესის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წარდგინებით უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის გაუქმების შესახებ. მიღებულია გადაწყვეტილებანი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეების მოვალეობისაგან ბეგლარ მახარაშვილისა და ოთარ ბელქაძის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრის მოვალეობისაგან ლუდვიგ ლურწკაიას გათავისუფლების შესახებ. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახელმწიფო რეზერვების მინისტრად დაინიშნა იგორ ჩხეიძე.

სესიაზე გამოვიდა ბელორუსიის სახალხო ფრონტის წარმომადგენელი ევგენი ნოვიკოვი.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.